KA040109925210622

საქართველო, თბილისი, 0114, ინგოროყვას ქ. №7; ტელ.: (+995 32) 2 19 27 27; ელ–ფოსტა: info@csb.gov.ge; www.csb.gov.ge

№ გ5932 **25 / ივლისი / 2022 წ.**

ნიკოლოზ ნიკოლაძეს
მის.:[redacted]

ბატონო ნიკოლოზ,

თქვენი მიმდინარე წლის 15 ივლისის (რეგ.N2909) განცხადების პასუხად, გაცნობებთ შემდეგს:

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2022 წლის 13 იანვრის N10 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო სამსახურის ბიუროს დებულების“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო შეისწავლის და განაზოგადებს ყველა იმ საჯარო დაწესებულების მოხელეთა შეფასების წესს, რომლებზეც ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 აპრილის დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების წესითა და პირობებით“ განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში, სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო, საჯარო დაწესებულებების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ამუშავებს განზოგადებულ ინფორმაციას მოხელეთა შეფასების მეთოდების (ფუნქციები, კომპეტენციები, მიზნები) შეფასების დონეების და შეფასების სამართლებრივი შედეგების შესახებ.

რაც შეეხება თვითშეფასებას, იგი წარმოადგენს უშუალო ხელმძღვანელსა და მოხელეს შორის უკუკავშირის დიალოგის ერთ-ერთ კომპონენტს, რომელიც აუმჯობესებს და ხელს უწყობს კომუნიკაციას ხელმძღვანელსა და თანამშრომელს შორის. გარდა ამისა, თვითშეფასებას, როგორც წესი, არ აქვს გავლენა საბოლოო შეფასების მაჩვენებელზე და შესაბამისად, შეფასების სამართლებრივ შედეგზე. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ თვითშეფასების საჭიროების, სავალდებულო თუ ნებაყოფლობითი ხასიათის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უშუალოდ კონკრეტული საჯარო დაწესებულება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო მოკლებულია შესაძლებლობას მოგაწოდოთ ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შეფასების წესში თვითშეფასების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.

აქვე, მოთხოვნის შესაბამისად, თანდართული დოკუმენტების სახით, გიგზავნით ამონარიდებს სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ შემუშავებული სარეკომენდაციო სახელმძღვანელოებიდან.

ამასთან, თქვენი მოთხოვნის შესაბამისად, ფოსტის მეშვეობით გეგზავნებათ ბიუროს საპასუხო წერილები (Nგ1377, Nგ4028, Nგ4228, Nგ4649, Nგ5702).

პატივისცემით,

ბიუროს უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თეიმურაზ ჩიხრაძე